აფრიკის საპატრიარქო ეგზარქოსმა კენიის მერუს 32 მცხოვრები მონათლა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 16.08.2024. 2024 წლის 15 აგვისტოს, იერუსალიმიდან კონსტანტინოპოლში პირველმოწამე მთავარდიაკონ სტეფანეს წმინდა ნაწილების გადმოსვენების დღეს, აფრიკის საპატრიარქო ეგზარქოსმა, ზარაისკის მიტროპოლიტმა კონსტანტინემ საღმრთო ლიტურგია აღავლინა მოციქულ იაკობის, უფლის ძმის, სამრევლოში, რომელიც მდებარეობს კენიის სოფ. კაირუნში (მერუს საკეთილმონესო).

მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას თანამწირველობა გაუწიეს აფრიკის საპატრიარქოს საეგზარქოსოს მისიონერული განყოფილების თავმჯდომარე, მღვდელი გეორგი მაქსიმოვი; მერუს

საეკლესიო ოლქის კეთილმოწესე მღვდელი თეოკლიტე კიტინჯი და საკეთილმოწესოს ყველა კლირიკოსი.

წირვის დასასრულს მეუფემ სამრევლოს მაცხოვრის ხატი აჩუქა. ასევე, ყველა დამსწრემ საჩუქრად მიიღო ჯვრები და ხატები.

შემდეგ მღვდელთმთავარმა მართლმადიდებელ დედათა კავშირის წევრებს თვსაფრები უკურთხა და თითოეული კეთილი საქმისთვის დალოცა.

საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა მაღალი სტუმრების ჩამოსვლასთან დაკავშირებით მცირე კონცერტი გამართეს.

ლიტურგიის შემდეგ მიტროპოლიტმა კონსტანტინემ 32 მკვიდრი მოსახლის ნათლობის საიდუმლო აღასრულა. კათაკმეველები ადგილობრივი სასულიერო პირების ხელმძღვანელობით ემზადებოდნენ.

აგრეთვე ამ დღეებში იერარქმა მოინახულა მერუს საკეთილმოწესოს რამდენიმე სამრევლო: ღირსი სერაპიონ კოჟეზერსკის; მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ წმინდა მღვდელთმთავარ ტიხონის; წმინდა მაკარის; მოციქულ იოანე ღვთისმეტყველის და ღირსი იოანე კიბისაღმწერელის.

ჯგუფს თან ახლდა კეთილმოწესე თეოკლიტე კიტინჯი.

მიტროპოლიტმა კონსტანტინემ სამღვდელთმთავრო სიტყვა წარმოთქვა, გაესაუბრა სასულიერო პირებსა და მორწმუნეებს, ყველას გადასცა საჩუქრები ლოცვებში მოსახსენებლად, – **იუწყება** აფრიკის საპატრიარქო საეგზარქოსოს ვებ-გვერდი.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/92068/